თეატრი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

12 იანვარს | გამოცემა № 2 | კვირაობით | 1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გზით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში ამ. ზ. ... წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ამ ნომერთან ხელის მომწერლებს ეგზავნებათ თ. გრიგოლ ორბელიანის სურათი.

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს სუთი (5) მანეთი ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. სხვა გზით ხელის მოწერა არ მიიღება.

მომავალ 1886 წლიდამ აკაკი წერეთელი დამოუკიდებელ მანაწილეობას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

კვირას, 12 იანვარს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

მგოსანი

დრამა 4 მოქმედებად და 5 სურათად, თარგმნილი ი. ჯაჯანაშვილისაგან

ლეკური

დასაწყისი 8 საათზე.

თბილისი, 12 იანვარს.

გაზეთებმა ბევრი ლონის ძიება იხმარეს: ხან ხვეწნით, ხან წყრომითაც თითქმის ბუკსა ჰკრეს და საყვირს ჩაჰბერეს, რომ როგორმე გამოეფხიზლებინათ ჩვენი დრამატიული საზოგადოება, მაგრამ ყველაფერი, ჩვენის ახლად გაყმაწვილებულის და განსპეკტაკლებულის, «ევერიის» მაღალი ენით, რომ ვილაპარაკოთ, გამოვიდა ამაოდ ენით ჰაერის ცემა და ხმა მღადადებლისა უდაბნოსა შინა. ეხლა, როგორცა სჩანს, მოჰქეიფებიათ ბბ. დრამატიულის საზოგადოების წევრთ ერთმანეთის ნახვა და დღეისთვის კრება დაუნიშნავთ. ნურავინ დაგვემდურება, რომ ჩვენს სიტყვებში სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურავი და დაცინვაც იფარებოდეს იმ საზოგადოდ პატივცემული პირთადმი მიმართული, რომელნიც ზემოხსენებულის საზოგადოების მმართველობას შეადგენენ. თუ რომელიმე პირი იქამდე ზნეობით ამაღლებულია, რომ თავის პირადი ცხოვრების, საკუთარის ოჯახის ვიწრო სფერა მას აღარ აკმაყოფილებს, საზოგადო ასპარეზისკენ იწევს და იქამდენ ბედნიერიც შეიქნება, რომ საზოგადოება ჰმოსავს მას იმ დიდის და სანატრელის ძალით, რომელსაც საზოგადო მინდობილება ჰქვიან, ე. ი. ირჩევს მას თავის წინამძღვრად, ანუ ბელადად, რაც უნდა მცირე იყოს წრე საზოგადო მოღვაწეობის, მაშინ ის ვალდებულია ყველაფერი ღონისძიება მოიხმაროს, რომ საზოგადო მინდობილება და იმედები არ გააცრუოს და საკუთარს სინიდისსაც არ დაუმძიმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პირი განკიცხვის გარდა ისჯება იმ სასჯელით, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ყველა სასჯელს აღემატება: მას აეხდება საზოგადოების ნდობა. ქართველთა ჩვეულებისამებრ ჯერ ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ პირველსავე მოწვევაზედ კრება შესდგეს და თუნდა კიდეც რომ შესდგეს, ღმერთმა ჩვენი მტერიც ნუ ამყოფოს ამ საზოგადოების მმართველობის წევრთა მდგომარეობაში. ყველა საზოგადოების კრებაზედ უნდა წარუდგინონ ანგარიში თავიანთი მოქმედებისა და ღვაწლისა მთელის წლის განმომავლობაში. ახლა დღეს ვნახოთ რა ანგარიშს წარმოადგენენ აწინდელი მმართველობის წევრნი. წარსულზედ სამდურავით მაინც საქმე არ გარიგდება; ჩვენ უნდა ეხლა ვეცადოთ, რომ ეს სენი, რომელიც ამ ეაგლახ საზოგადოებას თანაშობილ სენად გარდაექცა, როგორმე მოვაშოროთ. სიზარმაცის და უსაქმურობის მიზეზს ამ საზოგადოების მხრით ბევრნი ჰხედავენ მასში, რომ ვითომც მმართველობის წევრებად ღირსეულს პირებს, ე. ი. საზოგადო საქმეებისათვის გულ შემატკივრებს ვერ ირჩევდენ, მაგრამ ეს ერთი უკანასკნელი მიზეზთაგანი უნდა იყოს, ამიტომ რომ თითქმის ძველები და ახლებიც—ვინც კი ჩვენს პატარა საზოგადოებაში რითიმე ცნობილია, იქ წევრად დასვეს, მაგრამ ცხოველი ელემენტი ამ საზოგადოებაში ვერავინ შეიტანა. მიზეზი აქ უნდა იყოს საზოგადოდ ქართველი კაცის სიზარმაცე და დაუდეერობა ყველა საზოგადო საქმეში, სადაც კი ის პირად სარგებლობას არ გამოელის. ეს სენი, რასაკვრელია თვითა და წლით არ განიკურნება, ამას მეტი განათლება და აღზრდა მოარჩენს, რომლისთვისაც საჭიროა საუკუნე თუ არა—ოცი და ორმოცი წელიწადი მაინც. ეხლა კი ეს მაინც მოვახერხოთ, რომ წევრებად ისრეთნი პირნი მაინც ვსცადოთ, რომელნიც ჯერ არ გვიცდია, მაგრამ მრომის მოყვარედ კი არიან ცნობილნი.

ჰამლეტი ქართულს სცენაზედ.

(გაგრძელება *)

აი ჩვენი შეხედულობა ზე-მოყვანილს ტიპებზედ, რომლების ხასიათიც ორიოდე სიტყვით გავაცანით მკითხველებს; თუმცა ეს მცირედი შენიშვნა საკმარისი არ არის, რომ სრულიად ნათლად და ცოცხლად დავინახოთ იმათი რთული, მაღალი და აგრეთვე მდაბალი სულის წყობილებანი, მაგრამ მაინც-და-მაინც დაახლოებით შეგვიძლიან ჰაერში დავხატოთ ყველა თვითეული პირი, რომელიც ბურუსით და ჯანყით არიან გარემოცულნი. რაც უნდა ნიჭიერებით დაჯილდოებული დრამატიული მწერალი იყოს, მაინც ისრე ხელოვნურად ვერ დახატავს, რომელსამე ტიპს, რომ ისე გააცნოს მკითხველებს, როგორც იმას ესმის და გრძნობს, რადგანაც წაკითხვით ვერ შეგვიძლიან ისე ცოცხლად წარმოვიდგინოთ ის პირი, რომლის ჩვენებაც ჩვენთვის ავტორს უნდოდა... აქ დრამატიულს მწერალს ერთი საშუალება აქვს, რომლის წყალობითაც იგი აცნობს მკითხველებთ და მაცქერალთ: ეს გახლავთ თეატრი, მსახიობნი, რომელნიც თეატრალურს ხელოვნების საშუალებით მაცქერალთ აცნობენ, რომელსამე ტიპს, იმ სახით, როგორათაც მწერლისაგან დახატულია, ესე იგი, თეატრი და მსახიობნი შუამავალნი არიან ავტორის და მაცქერალთ შორის. აქ მოთამაშემ უნდა დაივიწყოს თავის პიროვნება და იმ პირის თვისებებით და გრძნობებით უნდა აივსოს სული, რომელის ჩვენებაც საზოგადოებისთვის უნდა; მაცქერალნი სცენაზედ ხედავენ მსახიობს და არა იმ პირს, რომელიც თეატრის გარეთ უნახავთ. ეხლა ჩვენს ქართულს თეატრის მსახიობე ედ გადავიდეთ და მცირედის შენიშვნებით გავაცნოთ მკითხველებს, თუ რამოდენად შეიგნეს ეს კლასიკური ფილოსოფიური თხზულება, რომელიც დიდს თეატრალურს ხელოვნების ცოდნას ითხოვს, რომ დაახლოებითაც არის გააცნოს მაცქერალთ. ჩვენის აზრით დიდი ტვირთი და გამბედაობაა ქართული მსახიობთათვის, ვილიამ შექსპირის «ჰამლეტის» თამაშობა. მაგრამ 21-მა დეკემბრის რიცხვმა დაგვარწმუნა

*) იხილე „თეატრი“ № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრში, რომ ქართულს დასში მოიპოვებიან იმისთანა პირნი, რომლებსაც შეუძლიანთ სთქვან, რომ ჩვენ ბუნებითი ნიჭით დაჯილდოვებულნი ვართ, მაგრამ საზოგადოება კი არ აფასებს და მხოლოდ სიყვარულით მაშინ მოგვიგონებენ, როდესაც ბედაურების მაგიერ, ვირებს დარჩებათ მოედანი.

რადგანაც ჰამლეტი, არის გმირი ამ ტრაგედიისა ამიტომ იმის გარჩევას შეუდგეთ, თუ ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევს რამოდენად შეუგნია ეს ტიპი.

არ შეგვიძლიან უყურადღებოთ გაუშვათ ის ადგილი, როდესაც აჩრდილი ეცხადება ჰამლეტს და თავის სიკვდილზედ და ჯოჯოხეთზედ უამბობს, რომელიც მეტად ხელოვნურად იყო დახატული ბ. ალექსეევი-მესხიევისაგან, რომლის გულიდგანაც გამოისმოდა მწუხარება, შიში და ხარბის თვალით, მუხლისთაზედ დაჩოქილი აჩრდილს მისჩერებოდა და იმისაგან მოელოდა უკანასკნელს გარდაწყვეტილებას, რომ მთელი ქვეყანა შეერყია თავის მძლავრის მოქმედებითა და ცდილობდა დარწმუნებულიყო ამ უცნაურს მოჩვენებაზედ. აგრეთვე შესანიშნავი იყო ის ადგილი, როდესაც აჩრდილი მიეფარება და ჰამლეტი მარტო რჩება. აქ ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევმა დაიჩოქა და ჭკუაზედ შეშლილის სახით წარმოსთქო: «სად არის ჩემი მოსაგონებელი წიგნი?» ეს სიტყვები ისეთის ხმით წარმოსთქვა, რომ უფრო შეშლილის ბეჭედი დაესო ვიდრე გონება შეურყეველი კაცისა, მხოლოდ ეს მოვლენა განძრახვითა შერება და არა ნამდვილათ ჰკარგავს იგი გონებას, თუმცა ინგლისელები ფიქრობდენ, რომ ჰამლეტი ჭკუაზედ იშლებაო, მაგრამ ეგ დიდი შეცდომილებაა და ანთელს მზეთ არ მიიღებს.

პირველს მოქმედების ამ მცირედის შენიშვნით ვათავებთ, თუმცა ნაკლუვანებაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ მაინცა-და-მაინც საერთო შეხედულობითა-კი, რომელიც ჩვენ გამოვიტანეთ დაახლოებით რიგიანი იყო.

მეორე მოქმედებაში აგრეთვე შესანიშნავ მოქმედებათაგან უნდა ჩავთვალოთ ის ადგილი, როდესაც ჰამლეტი წიგნს კითხულობს ჩაფიქრებული და პოლონიი მიდის და ჰკითხავს: «რასა კითხულობთ, პრინცო»? ჰამლეტი უპასუხებს: «სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს!» აქ ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევი ცალ გვერდზედ დაყრდომილი სავარძელზედ პოლონიისკენ გაიცქირებოდა, რომლის სულის სირღმეებიდგან ცდილობდა ამოეკითხა ყოველივე წინააღმდეგი განძრახვანი; იმას აჯდა იჭვნეულობის ბეჭედი, ირონია, მძულვარება და ყოველივე ამას მხიარულობის სამოსელით ჰფარავდა და სცდილობდა არ ეჩვენებინა ის მღელვარებანი, რომელიც იმის არსებობას სწამლავდენ. ეს ყოველივე კანონნი რიგიანად იყვნენ დაცულნი ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევისაგან. აგრეთვე შესანიშნი იყო ის ადგილი, მეორე მოქმედების დასასრულში, როდესაც ჰამლეტი მარტო რჩება სცენაზედ და რომელიც შემდეგის სიტყვებით იწყობს მანალოგს: «რა მდაბალი ქმნილება ვარ»! და სხვა... ეს მანალოგი წარმოადგენს: ბულის გოდებას, სულის კვნესას, თავის თავის მტყუნებას, რომელიც ხან დასცინის თავის თავს და ხან მკაცრად სჯის, რომელიც მზაკვარების ფარდას იფენს პირზედ და ისე გამოდის ცხოვრების ასპარეზზედ. აი, როდესაც ის საზიზღარნი პირნი თავს ანებებენ, მაშინ იმის გულიდგან საშინელი შხამიანი გრძნობა ინთხევა, რომელიც თავის თავს დასცინის და მძულვარებით უყურებს! აქ ბ. ვ. ალექსეევი-მესხიევის მდიდარმა მელოდიურმა ხმამ და ნამდვილმა გრძნობამ ნათლად დაგვიხატა ჰამლეტის ზე მოყვანილი სულის შინაგანი მდგომარეობანი. თუ არ ეს მანალოგი, მეორე მოქმედება უხეიროდ ჩაივლიდა, მაგრამ აქ ბ. მსახიობმა პირველი შთაბეჭდილება სრულიად დაგვაკარგვინა და უკანასკნელის ძალით სრულიად დაგვაკმაყოფილა.

აქ არ შეგვიძლიან არ შევამჩნიოთ ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევს ერთი გარემოება, როდესაც ბილდენშტერნს და როზენკრანცს ელაპარაკება. იმას ვერ შეეგნო ის გარემოება, რომ აქ ჰამლეტი იმათთან ირონიულად დასცინის, იმავე დროს საზიზღარის სახით უცქერის და იმათი გულიდგან ყოველივე მდაბალს განძრახვებს იგებს, რომელიც დიდის ხნობით თვალებში ჩასცქერის; ბოლოს გვერდზედ ბრუნდება და რამოდენიმე შხამით შეფერილს სიტყვებს ეუბნება. აქ არც ერთი გარემოებანი არ იყვენ დაცულნი და არც არას ხატავდა იმის სულის მოძრაობა.

მესამე მოქმედებაში ჰამლეტი გამოდის შესანიშნავის მანალოგით:

„სიკვდილი თუ სიცოცხლე?“ რომელშიაც გამოხატულია მთელი შინაგანი სულის მდგომარეობა და იგი სჯის ორს დიდს საგანზედ—სიკვდილ-სიცოცხლეზედ, რომელიც თავის თავს ებრძოლება. ამ მანალოგს მოუთმენლად მოველოდით, მაგრამ ჩვენდასამწუხაროდ ვერაფერი შთაბეჭდილება იქონია, რადგანაც, ბ. მსახიობის ხმა სრულებით არ ისმოდა რას ამბობდა და მით უფრო იკარგებოდა ილლიუზია, რომ რაღაცა უცნაურს სხეულის მოძრაობას აკეთებდა, რომლის გამოცნობა ჩვენ ვერ შეეიძლეთ რისთვის და რათა?—მხოლოდ რაიცა ოფელიასთან ლაპარაკს შეეხება, აქ გულ ახსნით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სრულიად ხელოვნურად შეასრულა თავის დანიშნულებანი. მით უფრო შესანიშნავი იყო ის ადგილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ესალმება, ბ. ალექსეევ-მესხიევს ემჩნეოდა გამოუთქმელი მღელვარება, რომელიც თავის თავს სასტიკად ემუქრებოდა, რომ იმოდენა გამბედაობა არა ჰქონდა, რამდენიც საჭირო იყო იმ გარემოებისთვის; აგრეთვე ემჩნეოდა ძრიელი სიყვარული, მაგრამ იგი იძულებული იყო განშორებულიყო ამ ნეტარს ქმნილებას, რომელიც იმის მეორე სიცოცხლეს შეადგენს. როდესაც იგი გადიოდა იმას ემჩნეოდა, რომ სულს ოფელიასთან სტოვებდა. მხოლოდ უძლური ხორცი ღა შორდებოდა ამ ნაზს ქმნილებას. აქ უნდა შევამჩნიოთ ბ. ალექსეევ-მესხიევს ერთი გარემოება: როდესაც წარმოდგენას უცქერიან, იმას არ ეტყობოდა ის საზარელი საიდუმლოებანი, რომლითაც ჰამლეტის გულია ავსილი; თუმცა აქ ბ. მსახიობი ბევრსა სცდილობდა, მაგრამ სრულებითაც ვერ დაუახლოვდა იმ სულის მღელვარებას, როგორიც კი შეჰფერობს ამ ადგილს. მაგრამ რაიცა შეეხება იმ ადგილს, როდესაც მეფე გარბის და ჰამლეტი მარტო რჩება, ისეთის ისტერიკულის ხმით გაიხარხარა, რომ აქ თითქოს თვითონ მაცქერალთაც-კი რაღაცა, სიხარული იგრძნეს და გულიდგან რაღაცა ტვირთი მოისხნეს, რომელიც ჰამლეტის სულსა სჭვალავდა. სწორედ რომ ეს უკანასკნელი წუთი რიგიანად იყო დახატული ბ. მსახიობისაგან. უფრო შესანიშნავად და ხელოვნურად წარმოსთქვა ის მანალოგი, როდესაც მეფეს დაჩოქილსა ხედავს და სიკვდილს უპირებს, მაგრამ ამ სიკვდილს იმისთვის ნეტარებათა სთვლის და ისევ უკან მიდის, იმის სახეზედ ნათლად იხატებოდა ის სულის მდგომარეობა, რომლითაც ჰამლეტია ამ წუთში აღფურვილი.

როდესაც ჰამლეტი თავის დედას ელაპარაკება და სულით სტანჯავს, აწამებს, ეს ადგილი ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევმა ისე მშვენიერად და ხელოვნურად დახატა, რომ არც ერთი ზევით აღწერილი შენიშვნა არ შეედარება. სრული თეატრალური ხელოვნური ნიჭი გამოიჩინა, რომლის თამაშობამ მაცქერალნი სრულს აღტაცებაში მოიყვანა. იმის უეცარი ხმის გამოცვლა, საშინელი მღელვარება, მშობლიური სიყვარული, შურის ძიება, — ეს ყოველივე სხვა-და-სხვა ფერად შეხამებული გრძნობანი მეტად თავის დროზედ იყვნენ გამოხატულნი და ყოველივე სიტყვას თავის შესაფერი გრძნობის ბეჭედი ესმებოდა, რომელსაც იმის პირის-სახე სარკესავით გვიჩვენებდა იმის სულის წყობილებაებს. ერთი სიტყვით დისგარძონია უეცრივ იცვლებოდა ჰარმონიათ და იმის შთამბეჭდელი მელოდიური ხმა სრულს მშვენიერს ესტეტიკიურს გრძნობას უღვიძებდა მაცქერალთ. ეიდევ ერთი უკანასკნელი გარემოებაც უნდა მოვაგონოთ მკითხველებს და მაცქერალთ, როდესაც ჰამლეტი მეფეს საწამლავს ასმევს და ჰკლავს. მხოლოდ აქ იკრეფავს სრულს ძალონეს, რომელსაც ამ უკანასკნელს შემთხვევამდის არ იჩენდა. აი აქ ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევმა ჭეშმარიტად და რეალურად დახატა ეს მაღალ სულოვანი კაცობრიული მღელვარება, რომელსაც მოთმინების ჯაჭვი უწყდება და თავს ამსხვერპლებს.

აი ამ მცირედი შენიშვნებით ვათავებთ ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევის თამაშობას; თუმცა ბევრ ნაირი წვრილმალი ნაკლულოვანებანი ჰქონდა, მაგრამ საერთოდ, რომ ვსთქვათ დაახლოებით მიახწია ჰამლეტის ხასიათს. ფარდა ჩამოეშო, ჰამლეტი მოკვდა! თეატრიდგან გამოსვლის შემდეგ, ჩვენ ჰამლეტის სახესა ვხედავთ, მხოლოდ შორს, ჯანყში და ბურუსში გარემოცილს, მხოლოდ ნათლად და ცოცხლად-კი არ შეგვიძლიან შევამჩნიოთ, ყოველივე სულის თვისებანი გავარჩიოთ. დიახ, ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევმა ამ რიგათ დახატა და მიახწია ამ მაღალს სულოვანს პირამდისინ, მაგრამ მაინცა და მაინც დიდი ნაბიჯია მსახიობისთვის ამ წერტილამდის მისვლა!

ი. კაბოელი.

(დასასრული შემდეგს ნომერში)

ფელტონი

მტრედის საუბარი ბულბულთან

(გუმდვნი ბ. ა. წ — ს.)

ბულბულო! რაღას ჭიკჭიკებ?
ხედავ დაგიდგა ზამთარი;
ვარდმა დაჰყარა ყვავილი,
ოთვლმა დაფარა მთა-ბარი.

—

მაისის დილა გაგიქრა,
დაგიდგა ცივი მარტია,
ღრეში ათას ფრად იცვლება,
უწყრება რაღაც ხატია!

—

ყვავი და ჩხიკვი გეხვევა,
უნდათ შეგჭამონ განაო,
იმიტომ რომე შენს სტვენას
ძვეყნისთვის მოაქვს ლხენაო.

ქაიხოსრო გელოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური

საგველ-ბაყაყო ჭაობი
აყროლებულა, შრებაო;
მოშხამულ — ოშხივარითა
ქვეყანას ემუქრებაო!

—

ქვემძრომებიცა ფუს-ფუსით
ძღეზედა გამოსულანო;
ბრიყვულის მედიდურობით
შგნურათ გარს მოცულანო!

—

ბველი მკურნალობს, ბაყაყი
იჩემებს ბულბულობასო!..
რა ვუთხრა დროთა ცვლილებას!
ფუი! მის საძაგლობასო!..

—

სადა ხარ წვიმავ შხაპუნა?
მოვარდი ნიავ-ღვაროო,
რომ ქვემძრომები წალეკო,
უფსკრულში გადაჰყაროო!..

გამოცანა

ზღვაში ფულები ჩაჰყარა,
ქვები აჭამა მან ჭიას;
სიცრუის სტვირი გაბერა,
აძახებს აჭი-ბაჭიას.

—

რკინის გზას გადაელობა
ჰხრავს და არც ანძრევს ხელებსა;
რაც უნდა გულზე დაადგეს,
მაინც არ დაახველებსა.

—

ნიკრისი, თავში შესელია,
შეჭედებია ვით ნალი,
მოშავ! რო ვირი გყოლია
ის არის მისი მკურნალი.

გეოლგოს

(პაროდია)

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი:

მრგვალის (ე. ი. მთელის) წლით — — — — 10 მ.	დაბეჭდილი სტატიების ავტორნი ვალდებულნი არიან ყოველთვის მეჯლისი გადუსადონ „გეოლგოსის“ რედაქციას, არამც თუ რაიმე სასყიდელი მოსთხოვონ შრომისთვის, ვინაიდგან შრომა უსასყიდლო და უანგარო, როგორც ამბობს ბ. უმიკაშვილი, არს სამთელ-საკმელი, რომელიც საქმოს წინ დაგვსდებს.
ნასეკარის წლით — 7 მ.	

გარდა ამისა, ყოველმა გაზეთის დამკვეთელმა ყოველ თვე უნდა შემოიტანოს რედაქციაში მოდგაწეთა, ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა სასარგებლოთ: სამი თუნგი ღვინო, (აუცილებლად კურდღელოვის მარანში ნასყიდი), ერთი ინდოური, ორი ქათამი, ერთი გოჭი, ცხრა შოთი და ცხრა ნაზუქი.

—

ობილისი, 10 იანვარს.

მას ჟამსა შინა, როდესაც ქვეყანაზე გამოიცა ბრძანება ნაბუქოდონოსორისა და იმ ქვეყნის მგლები, აქლემები და მელიები ერთმანეთს ულოცავდენ, ეხლაც ეს მხეცთა ხროვა ულოცავენ ერთმანეთს, რადგანაც იშოვეს ყოველად სანატრელი და სასიქადულო «გეორგოსი». ნამდვილად არ ვუწყით, მაგრამ, როგორც გვაუწყა ამ ჟამად პეტრეს ქალაქში მყოფმა, ჩვენმა თანამემცხედრემ, ანუ, როგორც ხმარობენ ჩვენში ბიჭ-ბუჭა მწერალნი, თანამშრომელმან, იონა მიხეილის ძემ მეუნარგიამ, პეტრებუხში ეს მოვლენა შეუნიშნავი არ დარჩენილა, იგი, ე. ი. ბ. მეუნარგია მოგვითხრობს მკვირცხლ-მწერლით (ტელეგრამით), რომ «გეორგოსის» შობის ღამეს სამხრეთით ამოვიდა ერთი დიდი სვეტი შუშხუნისა, რომელმანც მთელი ქალაქი გაანათაო. იმ დროს მე ვიჯექი ჩემის მეგობრის საფრანგეთის ელჩის დარბაზში და ჩვენს დაკარგულს, საერთო მეგობარს, გამბეტაზედ, ვლაპარაკობდიო. როდესაც ფანჯრებში შემოაშუქა, მაშინვე მიეხვდი ნათელი იგი რაის მომასწავებელიც იყო და დავიკივლეო: ex oriente lux! იმ ჟამს შემოვარდა ქუდ-გადაგლეჯილი სუეორინი და უთხრა ჩემს მეგობარს ელჩსო, რომ ჩემი კორესპონდენტი, ბ. მოლჩანოვი, ეს არის ეხლა ზანზიბარის ხონთქარის წინაშე წარსდგა და ეს იმისი ნიშანიაო. მე იმას ყური აღარ უგდე, ვსტაცე ქუდს ხელი, რომელიც, ე. ი. ქუდი, ამ დღეებში ჭიულ ბრეკისაგან საჩუქრად მომივიდა და კნიაზთან გავეშურე, სამახარობლო სხვამ არ დამასწროსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვრელია, ურწმუნოთაგანი მრავალნი არიან ჩვენში, რომელნიც არ დაგვიჯერებენ, მაგრამ ეს ხომ ცხადია, რომ ჩვენ საასპარეზოდ გამოვედით და ახალწელიწადს გილოცავთ. მაგრამ ნეტარება, იმასა ვინც ამ ძაღლს წუთის სოფელს მორჩა და განისვენა წიალთა შინა აბრაამისათა, თორემ ჩვენ რა მოსალოცნი ვართ. უნდა სიკვდილამდე ვსწიოთ ეს მძიმე ჯაპანი და მადლობას ვინ გვეტყვის? მაგიერ, ისევ ჩვენვე გვლანძღავენ და გვთათხავენ ვილაც ჩვენივე თოკიდამ, თუ სახრჩობელიდამ გამოქცეული ეაჟ-ბატონები. რისთვის, ვის რა ვირი მოვპარეთ?—მისთვის, რომ თქვენ რომ ყოველ დღე წითელ ნუნუასა ჭსვამთ და შემწვარს ინდოურებსა სჭამთ, რატომ ჩვენ კი არ გვიგზავნითო! ეეჰო, ახირებულია, შენმა მზემ. ხონთქარსაც ბევრი რამ უწყვია სალაროში, რატომ მე არ მიგზავნის? ესე, ჩემო ბატონებო, სიდინჯე, სიდარბაისლე, მადიანი ქეიფი, ტკბილი შექცევა, ღრმა ძილი, და კიდევ შექცევა ჩვენი დევიზია და ამისთვის ნურავინ ნუ დაგვძრახავს, ყველა თავის ნიფხავს გაუფთხილდეს, სხვისას ნუ აფოფნებსო, ამბობს ჩვენი პოეტი დავით ბურამიშვილი, თუმცა კი მანდილოსნებთან ბოდიშს ვიხდით. ეს არის ჩვენი აღსარება, ეს გვინდოდა გვეთქვა და ვისაც როგორ უნდა ისე გაიგოს. **Еремѣй разумѣй**, რუსულად ნათქვამია.

ახალი ამბები

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ინგლისის მხედართ მთავარს, ბ. უოლსლეის არაბი-ფაშა მთლად დაუმარცხებია.

— ნამდვილად გვატყობინებენ, რომ გამოჩენილი ყაჩაღი ტატო წულუკიძისთვის სამხედრო სასამართლოს ჩამოხრჩობა გადაუწყვეტია უკვე.

— უტყუარად გვატყობინებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში რევიზიის მოსახდენად განსვენებული ნუმა ჰომპილი დაუნიშნავთ.

ნაწრეტი

ერთხელ ჩვენი პატივცემული პედაგოგი ი. ბოგებაშვილი ერთს ცხელ მკათათვის დღეში რეზინის კალოშებით და პლედში შეხვეული მოდიოდა ბულვარზედ. მას წინ შეეხვდა არა ნაკლებ პატივცემული სამსაჯულოს ბოქაული, ბ. ი. ბაქრაძე და უთხრა დაცინვით:

Iაკობ, ამ სიცხეში ე როგორ დაჩულულხარო?

— ქამეჩი ზამთრით იჩულება და კაცი ზაფხულითო.

მაშ რა განსხვავებაა კაცსა და კამეჩშიო? პოეტ-ბოქაულმა ხახა გააღო და პასუხი ველარ მისცა.

— ერთ მსუქან სადილზედ, რომელსაც ხშირად ჰმართავს ხოლმე ქართველი ლიტერატორების გასაძღომად ჩვენი პატივცემული მეცენატი, ბ. ქართველიშვილი, სალიანის ხიზილალით და ასტარხნის ზურგიელით გამოზრუჟულმა ი. მეუ—მ აღტაცებით სავსე სიტყვა უძღვნა გულ-უხვს მასპინძელს. „ნეტარება იმ კაცს, ვისაც მაგდენი ხიზილალა ექნებაო“, დააბოლოვა თვისი მშვენიერი სიტყვა ორატორმა.— ნეტავი შენი კალამი მე მომცა და ჩემი ხიზილალა შენაო, უპასუხა მასპინძელმა.—აი, ბატონო, ჩემი კალამიო, მიუგო მისწრებულმა მეგრელმა და უბიდამ ერთი სამ კაპეიკიანი კალმის ტარი ამოუღო...

ნახე ბიჭი!

— ქაკობრიობის პროგრესის უკანასკნელი იდეალი არის კუ.

(პეტრე უმიკაშვილი)

— მე რომ იონა მეუ — გია არა ვყოფილიყავ, ვინატრებდი რომ პლატონ იოსელიანი ვყოფილიყავ!

(იონა)

— მე რო ინგლისში დავბადებულიყავ მხოლოდ ბაირონი ვიქნებოდი, საქართველოში კი ბაირონის გარდა ბანკის «აცენჩიკიცა» ვარ!

(ან. ფურ—ძე)

— ყველა ქართული ანდაზა სიბრძნით სავსეა, ერთის მეტი: გოჭმა კუდი გააბზიკა მეც ნახირ-ნახირაო.

(თ. ნ. დიასამიძე)

— პოეტობაც სანატრელია, არცა რა პუბლიცისტობას უშავს, მაგრამ ყველა ბუზი ბზუისო და ბანკირობასთან ყველა სტყუისო!

(თ. ილია ჭავჭავაძე)

რედაქტორი და გამომცემელი

დავით სოსლანი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

«ნობათი»

სა-ოველ-წლიურო სურათოვანი საყმაწვილო ჟურნალი

I

ვიდრემდის ჟურნალის გარჩევას შეუდგებოდეთ, უადგილოთ არა ვსთვლით ორიოდე სიტყვა ბ. რედაკტორზედა ვსთქოთ.

ყოველივე ახლად დაწყობილს საქმეს საფუძველი აქვს, რომელზედაც უნდა აშენდეს, თორემ იგი არასოდეს თავის დანიშნულებას ვერც შეასრულებს და ვერც მიახწევს იმ მიზნავდეს, რომლის გულისთვისაც არის დაფუძვნებული. როდესაც განვითარებული საზოგადოება განიზრახავს რომელიმე იდეიის განხორციელებას, ჯერ პირველად საზოგადო აზრით ჯეროვანს ანალიზს უკეთებენ ამ იდეიას, იგებენ ყოველივე იმის მხარეებს, შესაძლებელია თუ არა იმათი ძალისთვის, რომ ბოლომდის მიიყვანონ საქმე და შუა გზაში არ დარჩენ, ბოლოს შეძლებისა-და-გვარად ხელსა ჰკიდებენ და საქმეს რიგიანად აბოლოვებენ. ამ შემთხვევაში ყოველივე მწევრი ამ საზოგადოებისა თავის პიროვნობას ივიწყებს და მხოლოდ საზოგადო საქმის ინტერესებს იცავს, რადგანაც ერთხელ მისცა პატიოსანი სიტყვა საზოგადოებას, დაჰპირდა და კიდეც უნდა შეასრულოს თავის პირ-და-პირი პატიოსანი მოვალეობანი. თუ ეს აზრი არა აქვს გამოხატული ყველა მწევრს, უეჭველია, რომ პროგრესიულად ვერ წავა იქ საქმე და სუყველაფერი „მეს“ მსხვერპლად გარდაიქცევა.

ჩვენდა სამწუხაროდ ამ გვარი მოვლენა ჩვენში იშვიათია და ყოველთვის იმისთანა საქმეს ჰკიდებენ ხელს, რომლის შესრულება არას გზით არ შეუძლიანთ, რადგანაც არც მომზადებულნი არიან და არც მატერიალური ზურგი მოსდევთ ამ აზრის გასახორციელებლად და როგორათაც «ოჩანი» ხარი უეჭველად შუა გზაში ჩაწვებიან. საქმე იმაშია, რომ ამ გვარი პირნი იმათაც გზას ულობავენ, რომელთაც შეუძლიან ამ აზრის სვინიდისიანად შესრულება, რადგანაც ერთხელ გააცნო თავის თავი საზოგადოებას და აღარ უნდა დასთმოს ის მძიმე ტვირთი, რომლის ზიდვა არ შეუძლიან. ამ გვარი ქცევა მხოლოდ უმეცარს კაცს შეჰფერობს, რომელსაც მხოლოდ ცხოვრების ერთი ფურცელი წაუკითხავს და არა იმ კაცს, რომელიც საზოგადო მოღვაწეთ ითვლება. რაშია დამნაშავე ის საზოგადოება, რომელსაც სწავლა სწყურიან, ჭკუის საზრდოს ითხოვს იმ განვითარებული საზოგადოებისაგან, რომელიც დაჰპირდა, მაგრამ პიროვნული მიზეზების გამო თავის მოვალეობას ვერ ასრულებს.

საერთოდ, რომ თვალი გადავავლოთ ჩვენში ზოგიერთს ხალხის ცხოვრების მიმდინარეობას, დავინახავთ, — რომ დასაწყისში ისინი იჩენენ სრულს ენერგიას, ძალღონეს, მცდელობას და ბოლოს კი უეჭველად დაზანტდებიან და უხეიროდ დააბოლოვებენ საქმეს.

რა იყო მიზეზი, რომ «ნობათი» პირველს წელს თავის დანიშნულებას ასრულებდა და მეორე წელს კი ყინულზედ ფეხი მოუსხლტა და ძირს დაეცა? საყოველ-კვირაო ჟურნალი წელიწადში ერთხელ გამოდის!—ბანა შეგვიძლიან ამ შემთხვევაში საზოგადოება და ამ ჟურნალში მოღვაწენი გავამტყუნოთ?— ჩვენის აზრით სრულებითაც არა, რადგანაც საზოგადოება, როგორც პირველად მიეგება სიხარულით და ზურგი მისცა, აგრეთვე ეხლაც დაეხმარებოდა, რომ რედაქციას თავის დანიშნულება შეესრულებინა, მაგრამ ყოველივე რწმუნება დაკარგა და ზურგი შეიქცია, როგორც პირველმა აგრეთვე მეორემ.

როგორც მკითხველიცა ხედავს ამ ზე მოყვანილის შენიშვნებით, ჩვენ გვინდოდა გვეთქო, რომ ბ. „ნობათი“-ს რედაქტორი ა. ღულაძე სრულიად არ არის მომზადებული იმ მძიმე საქმისთვის, რომელსაც ხელი მოჰკიდა, ამას არ შეუძლიან მიიზიდოს იმისთანა მოღვაწე პირნი, რომლებსაც შეუძლიანთ შეასრულონ ამ ჟურნალის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, იმას თავ-მოყვარეობა იმოდონა ნებას არ აძლევს, რომ თავიდგან ამოიღოს სიტყვა „რედაკტორი“ და „ჩემი სჯობიან შენსასა“. რასაკვირველია ამ გვარი აზრების კაცი ძალიან შორს მანძილზედ ვერ წავა და ყველანიც განზედ გაუდგებიან, როგორც ეხლა ბ. ა. ღულაძეს მოუვიდა, თუმცა ზოგიერთა გულ-კეთილი პირნი კიდევ დარჩენ, რომელნიც დრო-გამოშვებით, გასართობათ მონაწილეობას იღებენ. იმოდენადვე ასრულებს ეს ჟურნალი თავის პედაგოგიურს დანიშნულებას, როგორათაც ბ. რედაკტორი ჩინეთის კონსულობას.

ჩვენის აზრით უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას, ბ. ა. ღულაძე რომ თავის პატივცემული ჟურნალი იმისთანა პირს გარდასცეს, რომელმაც თვეში ერთხელ გამოსცეს და არა წელიწადში ერთხელ, როგორც ეხლა ხდება. ეს მოვლენა უფრო აამაღლებს რედაქტორის პატიოსნებას და პატივ-საცემ ღირს პირად ჩასთვლის.

ეხლა მოკლედ გადავათვარიელოთ ამ ჟურნალის შინაარსი და ყველაზედ თითო-ოროლა სიტყვა ვსთქვათ.

ი. დავითაშვილის ლექსებს, საერთოდ, ხალხური ხასიათი აქვს, და ნამდვილის ბუნებითი ხელოვნურის ნიჭით არიან დაწერილნი და მეტად დაშორებულია ჩვენის „ნაფიცი“ მწერლების თხზულებებს. მკითხველი ხედავს: მდაბიურს ენას და მაღალ გრძნობას, სხვა-და-სხვა შემკულის სურათებით დახატულს, ისე რომ ბ. ი. დავითაშვილი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ზოგიერთა ჩვენი პოეტები, რომელნიც მილლის, მალტუსის და დარვინის თეორიაზედ

არიან აღზდილნი და უადგილო ადგილას ფანტამენ დიდ მნიშვნელოვანის ფრაზებით ასაზრდოვებენ იმ მცირე განვითარებულს ხალხს, რომელსაც ანაბანის სწავლა სწყურიანთ და არა ფილასოფია—მეტაფიზიკა.

ა. ფრონელის სტატია სრულებით პედაგოგიურს ტაკტიკას მოკლებულია და ბავშვის ზნეობითი განვითარებაზედ უეჭველია, რომ ცუდს გავლენას იქონიებს, რადგანაც არც ერთი მხარე პედაგოგიურის კანონისა არ არიან დაცულნი. ამ სტატიიდგან ვერ შეუძლიან ბავშს ის გონების საზრდო გამოიტანოს, რომელსაც ავტორი თავის აზრით უძღვნის. მით უფრო ჰკარგავს ძალას, რომ სურათები თავის თავის ადგილას არ არიან და მეტად მკვდარის ენით არის დაწერილი.

ლ. რაზიკაშვილის სტატია წარმოადგენს ცარიელა სიტყვების გროვას, რომლებსაც სრულებით მნიშვნელობა აქვს დაკარგული. ერთი და იგივე აზრი სამჯერ არის გამეორებული; ერთი და იგივე შთაბეჭდილება თხუთმეტჯერ არის ნაგრძნობი; ისე რომ სამის სიტყვით გამოსათქმელი უბრალო საგანი—სამასის სიტყვით არის აშენებული, მაგრამ მაინცა-და მაინც საფუძველი კი არ აქვს, ამ ხუთს სართულიანს კედელს, ესე იგი, როგორც რუსები ამბობენ: (съ пустого въ порожнее переливаетъ).

ბ. ბეჯაძის ზღაპარზედ არას ვიტყვით რადგანაც თვითონ ხალხი ჰბადავს და ხალხი მაგ შემთხვევაში არ შესცდება ხოლმე და ამ ზღაპარს ნამდვილი პედაგოგიური დანიშნულობა აქვს და სუფველაფრივ სრულია, როგორც ენით, აგრეთვე აზროვნობით... შემდეგში დანარჩენებზედ მოვილაპარაკოთ.

Z.

ნაზრახი ადგილი

(მოთხრობა)

სოფელ ზემო-არგვეთაში დარეჯანას ისე ვერ მორჩებოდენ, როგორც სულ-მობრძავი მოძღვარს ვერ მორჩება ხოლმე. მისი სახელი განთქმული იყო მიდამო სოფლებში მკითხაობით, ბებიაობით და ექიმობით. ხშირად მოდიოდენ მასთან ორი დღის სავალიდამაც. დარეჯანას ძვირად ნახავდით სახლში; იგი ერთი სიტყვით გართული დედა-ბერი იყო. მკურნალობდა განსაკუთრებით შელოცვით, თუმცა-ღა წამლებსაც ასმევდა თავის ავად-მყოფებს. მის კერაზე ცეცხლი მუდამ გაჩაღებული იყო და საქვაბეზე მუდამ ერთი ვეებერთელა ქვაბი ეკიდა, რომელშიაც ათას გვარი ბალახები და მცენარეების ძირები იხარშებოდენ. აი ამ ბალახების გამონახარშ წყალში დარეჯანა გალესდა ხოლმე რაღაც კენჭებს და მიუცემდა წამლის მთხოვნელს. ეს წამალი იყო მკურნალი ყოველ გვარი სენისა. რაც შეეხება მკითხაობას, დარეჯანას, არ ვიცი კი რა გვარად, სწამდა თავის მკითხაობის ძალი. ბებიაობაში ხომ გამოცდილებით იყო დახელოვნებული.

რაღა ბევრი თავი შეგაწყინოთ: დარეჯანა პატივ საცემი ქალი იყო და პატივსაც სცემდენ, თუმცა ამ პატივის ცემასთან ცუდი სახელიც ჰქონდა ნაწოდი—კუდიანს ეძახოდენ. დარეჯანა სრულებით არ აქცევდა ყურადღებას ამ გარემოებას. მისი პატარა კოლოფი ნელ-ნელა ივსებოდა ფულებით, ასე რომ ფულიანობის ხმაც გაუვარდა შორიდამ შორს. ერთს ღამეს დარეჯანას თულები დაესხენ; ასიოდე თუმანი მოსტაცეს და ერთად ერთი შვილი მოუკლეს. შიშისაგან საბრალოს რძალიც მალე მოუკვდა. დარჩა დარეჯანა მარტოკა, ობლად, თავის პაწაწინა შვილი-შვილი დესპინეთი. მკვლელი მაშინვე დაიჭირეს და დაკარგეს. ავი ენები ისევ დარეჯანას ამტყუნებდენ—აქაო და კუდიანიაო!

სხვა რომ ყოფილიყო ვერ გადაურჩებოდა ჯაერს, მაგრამ დარეჯანა გულ-მაგარი და მარჯვე დედაბერი იყო. მას თუმცაღა ოჯახი, შემდეგ შვილისა და რძლის სიკვდილისა თითქმის დაეღუპა, მაგრამ სახლ-კარი მაინც არ დააქცია. იგი მტკიცედ შეუდგა დესპინეს გამოზდას. მისი აზრი იყო მომავალში დესპინეს გათხოვება და ხელ-მეორედ ოჯახის გამობრუნება, რომ მტრებს მაზე ან გაეხარად. უბედური დესპინე თავათვე საცოდავი იყო. მას საჭმელ სასმელი კი არ აკლდა; ის იყო მოკლებული უმთავრესს—დედის თბილ უბეს და ალერსს. მთელი დღე დესპინე მარტოკა უნდა ყოფილიყო სახლში და თუ საღამოზედაც ბებია დარეჯანა არ გაჩნდებოდა, საბრალო გოგოს უნდა გამოეკეტა სახლის კარები და წასულიყო მეზობლისას ღამის გასათევად, ანუ ერთ-ერთი გოგო უნდა მოეყვანა თავისას. დარეჯანა ხომ ისეთი დედაკაცი არ იყო, რომ დესპინე გაენებივრებინა. მოვიდოდა ხოლმე თუ არა შინ, იმ წამსვე ფეხებს გაუშვერდა დესპინეს დასაბანად. ქვეშსაგებ-ზესახურავს გააშლევინებდა; ხან-დის-ხან კიდეც მისტყეპდა თუ ქვეშ-საგები კარგა დაგებული არ დახვდებოდა. ვერ გავამტყუნებთ დარეჯანას. აი რას ფიქრობდა იგი ბავშვის აღზრდაზე: „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვარედ გამოგადგებაო“. იმას კი არ სძულდა თავის ერთადერთი შვილი-შვილი; უყვარდა კიდეც ძალიან; უყვარდა ისე, რომ მაზე ძვირფასი არა გააჩნდა-რა. დესპინე კი მშიშარა იყო კურდღლის ბაჭიასავით. მას აქა-იქ გაეგონა, რომ ბებია მისი კუდიანია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედ მამაც ბებიამ დაუხოცა, როდესაც ამეებს წარმოიდგენდა დესპინე ათრთოლდებოდა. ეს ემართებოდა უმფრო ხშირად ღამე-საწოლში.

მოგეხსენებათ, ჩვენში ქალი მალე მოდის ასაკში და გასათხოვრათაც მალე მზადდება. დესპინესაც ესე მოუვიდა. იგი მეთექვსმეტე წელიწადში გადადგა, ცუდი სანახავი გოგოც არ იყო. თუმცა ვაშლივით წითელი ლოყები არ ჰქონდა, მაგიერათ ფერ-მკრთალობა კიდევაც უხდებოდა. ოქრი მსხვილი შავი ნაწნავები კოჭებზედ სცემდა. შავი წარბები, შავი მშვენიერი თვალები, ოდნად წმინდა მოხრილი, ცხვირი და პაწაწუნა ტუჩები ერთად შეზავებული საოცარ სურათს წარმოადგენდენ. ამასთან მუდამ რაღაც ჩაფიქრებული სახის მეტყველება სულ აგვირგვინებდა მის ისეც დაგვირგვინებულ ეშხს. რასაკვირველია რომა შუამავლებს დრო დაუდგათ. დღე ერთი იყო და ბებია დარეჯანასთან ოთხი, ხუთი შუამავალი მოდიოდენ, თუ ქალი და თუ კაცი. ხუმრობა ხომ არ არი, დესპინე მამულიანი იყო და ბებია დარეჯანას ფულებიც ბოლოს იმას დარჩებოდა.

ერთს მშვენიერ საღამოზე დარეჯანა და ერთი ხანში შესული კაცი—საპატიო ბოგია, მომუსაიფობდენ სასოფლო შარაზე. ბოგიას ბევრჯერ ჩაუკრამს გულში ხელი და უნატრია დარეჯანას ყოფაცხოვრების ხელში ჩაგდება ერთს დროს. ახალი დაქვრივებული ბოგია, მის შერთვასაც კი ფიქრობდა, თუმცა-ღა დარჯანას შვილად შეჰფეროდა, მაგრამ რაღაცამ შეუშალა ხელი. ეხლა კი ბოგია წყნარად ებაასება დარეჯანას. ბზის პირზე, რომ განზრახ ჩამჯდარიყავი ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებსაც თუ გაიგონებდი, თორემ მთელი ბაასის გაგონება შეუძლებელი იყო, ისრე ნელა მუსაიფობდენ. ოქრთავეს ეტყობოდა, რომ რაღაც დიდ საგანზე მსჯელობდენ.

— შენი იაკოფი მოგვიდა, შვილო ბოგია? ჰკითხავდა დარეჯანა.

— ბიახლათ, ჩემო დარეჯან! ღმერთმა კაი დაგმართოს კაი ბიჭი ის იყოს. რაები არ მომიტანა ქალაქიდამ. ის რომ არ მყვანდეს, მგონი სული ამომძვრებოდა.

— ღმერთმა გაჩუქოს და გიბედნიეროს. ახლა ნულარსად გაუშვებ, შენც მოხუცდი და პატრონი გჭირდება, ჩემი არ იყოს.

— იცოცხლე, მე პატრონი მჭირდებოდეს. მაგრამ... იმას ვერ შევაწუხებ. მიჩვეულია. მერე სულ დიდ-კაცებშია ნამყოფი. ჩემ შვილად კი ვერ იტყვი, რო ნახო ისეთ ნაირად არის გამოწყობილი... ქარგათაც შოულობს.

— ღმერთმა მისცეს! დედაშვილობის გამჩენმა ხელი მოუმართოს! დასძინა დარეჯანამ და ჩამოვარდა ცოტა ხნით სიჩუმე. სიჩუმე ბოგიამ დაარღვია. იგი რაღაც მელურის ხმით მიუბრუნდა დედა-ბერს.

— მოდი ასე ნუ ვიზამთ. ბატონო დარეჯან! დავმოყვრდეთ მე და შენ. მომეცი შენი დესპინე იაკოფისათვის. ღმერთმა იცის, რომ ჩემობით არ ვაქებ. კაი ბიჭია სწორედ შესაფერები არიან.

— ღმერთმა კაი დაგმართოს, კაი ბიჭი ის იყოს... უპასუხა დარეჯანამ.

— იცის ღმერთმა, რომ მე დიდი ხანია შენი სიყვარული და პატივის ცემა მაქვს. სულ მინდოდა რამე ნაირად დაგმოყვრებოდი. ვიფიქრე, ვიფიქრე და მეტი ველარა მოვიფიქრე-რა. აბა შორეული რად გინდა? ისევ შენი მეზობელი გერჩიოს. ამბობენ ვითომც შენ შვილი-შვილს ბიორგა ბიჭი უყვარსო; მაგრამ არ მოგცემს ხელს.

— კაი დაგემართოს, ჩემო ბოგია! მე შენ შვილს ვერ დავიწუნებ, მაგრამ მე მუშა ბიჭი მინდა. შენი შვილი გარედ გასული და გართულია. სოფელში არ გამოდგება. ჩემ არე-მარეს კაი მუშა ეჭირვება. სულ სხვის ხელში ვერ დავაყენებ ადგილ-მამულს.

— დარეჯან! ბულმა მიაზრა, თუ რაღაცა იყო, მაგ პასუხს მოველოდი შენგან. მომითმინე, რა მოგახსენო: მე და შენ, ბატონო დარეჯან, მოხუცებულები ვართ, მოსვენება გვინდა. ეხლა ჩვენი გახედნა ძნელი მოსახერხებელია. რა იცი რო ი მუშას აყალმაყალი არ ეყვარება. შენ როგორც აქამდი გიმუშავნია ი მიწები ისე იმუშავე, ოღონდ უმფროსობა და ბატონობა ნუ ჩამოგერთმევა შენ ოჯახში. ჩემი იაკოფი წელიწადში ერთხელ ან ორჯელ მოვა სტუმრად; დაგხედავს და წავა. ისიც საქმეზე იქმნება და შენ ისე იცხოვრებ, როგორც გიცხოვრია აქნამდი. ჩვენ სიცოცხლეში, ჩემო მოყვარე, ასე გავატაროდ დრო და მერე ჩვენ რო მოვკვდებით, რაც ენებოსთ ის ქნან. ადგილსაც პატრონი გამოუჩნდება და მამულსაც. აბა, რა ჭკუა იქმნება, შენი ჭირიმე, რომ სახლში ვინმე მაჩხუბარი გამოჩნდეს, და გემრიელი პური შხამად შემარგოს.

დარეჯანა ჩაფიქრდა, მაგრამ გადაწყვეტილი სიტყვა მაინც არ აღირსა ბოგიას. «ვიფიქრებო!» უთხრა და გამოესალმა.

«დედა-კაცი მცდარიაო»! ამბობს ანდაზა. საბრალო დარეჯანას მალე მოუქციეს მხარი. ბოგიამ

ყოველი ლონის-ძიება იხმარა თავის განზრახვების აღსასრულებლად; ხან თავისი ცბიერი მჭევრ-მეტყველობა, და ხან სხვა-და-სხვა შუამავლები მიუჩინა Дარეჯანას შეკერ-შამოკერეს საქმე და არ გასულა ერთი კვირა შემდეგ Дარეჯანას და Ბოგიას ბაასისა, Дარეჯანამ გამოუმცხადა Дესპინეს: თავი დაებანა და მომზადებულიყო ხვალისათვის, რადგანაც ხვალ რომ კვირა იყო, ხუცესი ეწვეოდათ მათ და ერთს დღეს მოხდებოდა ნიშნობაც და ჯვარის წერაც. „Იაკობი კაი ბიჭია შვილო! შენც რომ გათხოვდე ბარემ დროა. ხომ ხედავ ჩვენს სახლში კაცის სული არ ჭაჭანებს. მე მოვხუცდი, შენც მოვლა გინდა და მეცა. Ეუბნებოდა Дარეჯანა Дესპინეს.

Дესპინეს თავის სიცოცხლეში არ შეუბრუნებია სიტყვა ბებიისათვის. Იგი ყოველთვის ჩუმად და წყნარად აასრულებდა ხოლმე მის ბრძანებას. Არც ეხლა გაუცია ხმა. მან გამოიარა ჩუმად კარი. Იქვე ეზოში იდგა საჩრდილობელი ხე. Იგი დაეშვა ამ ხის ქვეშ მოლზე და ათას გვარი აზრები აიძრენ მის ნორჩ გამოუცდელ ტვინში. ხვალ უნდა გამათხოვონ... ჰფიქრობდა იგი. Ასე მალე! Უნდა წავიდე ვიღაც Იაკოფას, რომელიც არც კი მინახავს. რათა, რისთვის?! Ბებიაჩემი ხომ კუდიანია. Მამაჩემი იმან მოაკვლევინა... Დედაჩემიც... Ამ მოფიქრებით საცოდავს გაურბინა რაღაც ციემა ჭრუანტელმა მთელ ტანში და დააწყებინა თრთოლვა ვერხვის ფოთოლივით. Დიაღ! Უნდა გამათხოვონ. Ანბობდა იგი. Უნდა მომაშორონ ჩემს Ბიორგის, ჩემის სულის დგმა Ბიორგის. Ესეც ხომ ბებიაჩემის კუდიანობაა... Არა! Უნდა ეუთხრა ბებიაჩემს, რომ ეს მოუხერხებელია... Რომ თავს მოვიკლმე და თუ გავთხოვდი Ბიორგის მეტი ქმარი არ მინდა! Дესპინე ადგა. Იმ მოაზრებით, რომ ბებიასთვის სულ ყველაფერი ეთქვა, გამოტეხოდა. Იგი გაეშურა სახლისაკენ; მას მუხლები ეკეცებოდა, ფერი სრულებით დაჰკარგოდა. Კაცს რომ დაენახა, ან ციებით ავადმყოფი ეგონებოდა, ან ეხლად ამდგარი ხანგრძლივის ავადმყოფობისაგან. მიახწია კარებთან თუ არა მას თვალები დაუბნელდა, გონება დაეკარგა და მთლად დაავიწყდა თუ რამ სათქმელი ჰქონდა. საქციელ წამხდარივით უნდოდა გამობრუნებულიყო, მაგრამ ჯანმაც უსუსტა და ჩაეცა კარებში უგრძნობლად. Дარეჯანა თუმცა გამოცდილი დედა-ბერი იყო, მაგრამ მეტად შეშინდა ამ გარემოებით. Იგი მივარდა შვილი-შვილს; სტაცა ხელი წამოსაყენებლად და გაფოცებული ისე დაიბნა, რომ წყალის მისხურებაც ველარ მოახერხა მერე უცბათ მოაგონდა, გაუშვა ხელი Дესპინეს და ახალ-გაზდა ქალის სისწრაფით, გაექანა წყლისაკენ. მცირედ ხანს უკან Дესპინე მოვიდა გონზე სადა ვარ? წაიბუტბუტა მან. მოისრისა თვალები და დაინახა, რომ მას თავი უდევს ბებია Дარეჯანას კალთაში. Ოო! რა საზიზღრად ეჩვენა Дესპინეს თავის ბებიის სახე. მას მოეჩვენა ეს ბებერი დედა-კაცი კბილებ დახრჭენილ როკაპად და საცოდავად დაიღრიალა მთრთოლვარე ხმით: «მიშველეთ»! Дარეჯანა ანუგეშებდა მას სხვა-და-სხვა გვარი ტკბილი სიტყვებით. Უკანასკნელად მან მთლად გონზე მოყვანილი Дესპინე ჩააწვინა ქვეშსაგებში. Дესპინე დიდ ხინს ფიქრობდა თუ რა მოუვიდა მას. Ცხადი იყო თუ სიზმარი მისი მდგომარეობა. Дარეჯანამ ლობიო გაშალა და იმკითხავა. Სცნო რომ მისი შვილი-შვილი თვალ-ნაკრავია და შეშინებულია. Дარეჯანა მიუჯდა Дესპინეს და დაუწყო თავისებურად გამოლოცვა თვალ ნაკრავის და შიშისა. Რაღაც ნაირი წამლებიც დაალევინა ავადმყოფს. Რამოდენიმე საათის შემდეგ Дესპინე ადგა ლოგინიდამ. Дარეჯანას ძლიერ გაეხარდა რომ მისმა შელოცვამ ეგრე გასჭრა და ხვალინდელი საქმე აღარ ჩაეშალა. Дესპინეს ავადმყოფობა კი სულ სხვა ავადმყოფობა იყო. Ის იყო სულიერი ავადმყოფობა, რომელსაც შელოცვა და წამალი ვერ მიუდგებოდა.

Ნასადილევს Дარეჯანა წაიდა სახლიდამ მეზობლებში, განუმეორა Дესპინეს, რომ იგი მომზადებულიყო საქორწილოდ. Მზემ გარდაიხარა, სამხრობის დროც გარდავიდა, ნიავმა დაჰბერა და სასიამოვნო სიგრილე მიმოფანტა არე მარეში. Საბრალო Дესპინე სახლში რაღაცას რეცხავდა. მას სრულებითაც არ გახსენებია ბებიას დაბარებული. Ამ დროს უეცრად შემოსხლტა კარებში მხიარული Ბიორგი. Იგი ჩვეულებრივად გაექანა Дესპინესაკენ. „Აა, ჩემო Дესპინე! მარტოკა ხარ“. მიაძახა მან თავ-ჩაღუნულ ქალს. როდესაც Дესპინემ Ბიორგის დასანახავად თავი ასწია და ამ უკანასკნელმა დაინახა მისი ცრემლიანი თვალები და დარდით მოცული სახე, შეკრთა. შედგა წამით და მხიარული მისი სახე მოიღრუბლა.

— რა ამბავია, Дესპინე, შენს თავს? რა დაგმართნია გენაცვალე? ჰკითხავდა იგი შეშფოთებული. Дესპინე პასუხს აგვიანებდა.

— Дესპინე! Ა! Არ გესმის? Ავად ხომ არა ხარ? მითხარი რა დაგმართნია. ჩქარა ნუღა გვიანობ. Дესპინემ თავი დაანება მუშაობას. Ადგა და წელში გაიმართა შემდეგ მიაშტერდა დინჯად Ბიორგის და საცოდავის ხმით წამოიძახა: „Ბი... ორ... გი!“ Ეს ერთი სიტყვა, ეს უბრალო სახელი, ისეთის ნაღვლიანის ხმით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ. გრიგოლ ყაფჩაყურიან-ოლბელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო წარმოთქმული, რომ მაში იმალებოდა მთელი მომავალი და წასრული ამ საცოდავისა. ბიორგის გული აუჩვილდა. მივარდა, ვეფხვის წიწილის სისწრაფით, დესპინეს და ჩავლო ხელში ხელი.

— ო, მე ვარ, მე ვარ, შენი ბიორგი. ერთი მითხარ რა მოგსვლია ეგა.

— მე... მე ხვალ მათხოვებენ. წარმოსთქვა ქალმა ძლიეს ძლივაობით და მოეხვია ახალგაზდა ბიორგის ყელზედ. რა ნეტარება იქნებოდა იმისთვის, რომ იგი ამ დროს მომკვდარიყო. ბიორგი გაშტერდა, გაშეშდა. ამ ერთმა სიტყვამ დასცა მას თავზარი და გაასწორა მიწასთან. „ხვალ ათხოვებენო“! წაიბუტბუტა მან ყრუ ხმით. უკანასკნელად მოიკრიბა მან ჯან ღონე და მიუბრუნდა დესპინეს.

— მერმე ვინ ბრძანდება ი ბედნიერი შენი საქმრო?

— მე თვითონ არ ვიცი ვიღაც იაკოფი ყოფილა. უპასუხა ქალმა ტირილის ხმით.

— ვიცი, ვიცი! იაკოფი ბოგიას ბიჭი. ის გარყვნილი, ის მაწანწალა? ბანა იმან იცის შენი ფასი? მე ვაცნობებ იმას თავს! შენ ნუ გეშინიან გული გაიმაგრე. მე დღესვე გამოვასალმებ იმას წუთის სოფელს, ანუ ისრე დავჭეჭავ, რომ ვერც ორ თვეს აღგეს ზეზე; ისე გაუხდი საქმეს, რომ ცოლ-შვილს სამუდამოდ გამოვასალმებ.

ბიორგი აპირებდა იმ წამსვე გავარდნას. იმას იმოდნად უდუღდა სისხლი, რომ თვით ლომი ვერ მიეკარებოდა სიახლოვეს. ბლეხ-კაცებში ბიორგი ძალიან თავმომწონე ბიჭი იყო, წმინდა, ფაქიზი. წვერულვაში ახლად უმწვანდებოდა და ღონეც ერჩოდა. ერთს ბიჭს უკან არაფერში არ ჩამორჩებოდა. დააპირა თუ არა მან წასვლა, დესპინემ დაიჭირა და უთხრა.

— თუ გიყვარდე თავს არასფერი აუტეხო. რომ მოკლა, ხომ შენც მკვდარი იქმნები, მაგით რას მიშველი. შემდეგ ამისა იგინი უეცრად რაღაც ძალამ მიაკრა ერთ-მანერთს. ამ ჩახვევაში იგინი ნეტარებაში იყვნენ; მთლად დაივიწყეს მთელი ქვეყანა, დაივიწყეს იაკოფი და ხვალინდელი ქორწილიც.

(შემდეგი იქნება)

ნარევი

ხელოქა...საგან მინაწერი წიგნი თავის მიჯნურთან *)

მითხარ თუ ვახალო თავმა რა ქვასა,
ნეტარ რა ყოფილხარ, ვისი ყოფილხარ,
ერთი მე მატყუებ, ათასი სხვასა,
ჩემი მეგონე—სხვისი ყოფილხარ!

—

ჩემ თვალჩი კი იარო, მაინც მარდი ხარ,
ბულმა ხომ შენ მოგეცი, იმის დარდი ხარ;
თუ ესთქვა ჩემთვის აღდგომა დღეს მწვადი ხარ,
შენგნით გაეძღე გემრიელი ყოფილხარ!

—

სიტყვას იტყვი—ჩემი გულმა ისმინებს,
ქარჩი გახვალ—ჩემი თვალმა იხილებს,
სულმა მომედინოს—გულმა იხილებს,
მე ბულბული, შენ ყვავილი ყოფილხარ!

—

ფეხჩი მოგიხდება: ჩულქი, ბაშმაკმა,
ფიანდაზად იყვეს ლორეფან ბაკმა,
ჰლანზე აგიშენებ თბილი ოთახმა,
მოდი და ვილხინოთ, ძნელი ყოფილხარ!

—

თვალჩი გაქვს შავი აშტარხნის ხიზილალა,
ნეტარ თუ გამხადა მე შენი ლალა,
ეს თავმა შენია დღესაც და ხვალა,
ბენაცვალე, რატომ ძნელი ყოფილხარ!

—

ნუ მკლამ ნაზლუ იარო ამტელ ტანჯვითა,
ერთი დამენახვე ლამაზ პრანჭვითა,
ბულმა შენ დაბი რკინის ჯაჭვითა,
ვა! ვა! ძალო, რა მჭედელი ყოფილხარ!

—

ეს სიტყვებმა დღეს ჩემგნით ნაქნარია,
ჩემი გული თუ სთქვა ღია კარია,
შედის და გამოდის ეშხის ქარია,
ვსთქვი ხელოქამ რა ძნელი ყოფილხარ!

ბაბილონის გოდოლის დარდვევისა და ენათა შერევის დროს მიწერილი მუხამბაზი ისაიასთან.

[1]) სად გაეშურე ტფილისიდგან პარუნ ისაი,
და რად დაგდე შენი ვარდი მწყრალად ისაი,

*) ეს სახუმრო ლექსები, ვითომ სომხისაგან ნათქვამი, ეკუთვნის თ-დ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს კალამს და მისთვის ვბეჭდავთ.

ესპეს ახჩიკ თე დუნ კუ ჭარის, ყოჩალ ისაი,
დარდიმანდ მართის ინჯიმასან მანდან ისაი,
ინჩ ეორ-ეორ გრუმემ, იგულისხმე კარგად ისაი,
ინზ თე კუ სირის ღერი ჯულაბ იაზ ისაი.
სად გაეშურე...

²) თე არნის ახჩიკ შატელ ფულოვ ქორუ ქაჩალი,
ის გიდემ შენვე იანდირარ ცეცხლისა ალი,
შენს ალას ჰკითხე, მაგის რჩევით ბაცარა თვალი;
რაც რომ გიბრძანოს პასლუშაი მანდა ისაი.
სად გაეშურე...

³) პრიმი სოვეტ ჯერ ჰამფირე, უკნიკოდ დარჩი,
ჩინი ართილსუნ და პენცია ყელზედაც ხაჩი,
ყულულს უმუდმე უკუ-აგდე პრაფერანს ნახჩი,
ნურც მოშორდები შენს ალასა ირღიას ისაი.
სად გაეშურე...

⁴) ჭანჩნამ ქუ ალინ ვერნი სლულა შენ ხარ ერთგული,
დიდის ხელმწიფის სამსახურში თავ-დადებული
დაღესტნელთაგან ჯურიათობით ფრიად ქებული;
ინან მანლაქი, შემიყვარდი სირტოვ ისაი.
სად გაეშურე...

⁵) ბევრსი კი გაწუხებ ამა ელი მიიღე ფრომა,
სპრასი შენს ალას ღიმილითა შესცვალა-ღრომა,
ერთგულის მონის და მეგობრის არ გმართებს წყრომა,
ეს მუხამბაზი და ნიზკი პაკლონ პრედსტავ ისაი.
სად გაეშურე ტფილისიდგან...

რუსული გაზეთიდგან.

◆ რუსეთის გაზეთები გვატყობინებენ, რომ დიდ-მარხვაში წარმოდგენების გამართვის შესახებ უმაღლესს მთავრობას სჯა გაუთავებია და გადაუწყვეტია ნება მიეცესო. ამ ნება-დართვით სარგებლობა შეუძლიანთ ყოველ გვარს დრამატიულს დასებს. წარმოდგენის გამართვის ნება ექნებათ ხუთის კვირის განმავლობაში, ხოლო წარმოდგენები აღკრძალული იქნება დიდ-მარხვის პირველსა და უკანასკნელს კვირას და შაბათობით.

რედაქტორი და გამომცემელი ვ. ანაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 15 იანვარს
ბ ე ნ ე ფ ი ს ი
კ. მ. მაქსიმიძისა
წარმოდგენილი იქნება
I
ორ-ცეცხლ შუა
დრამა 3 მოქმედ., თხზ. დე-ჟირარდენისა.
II
ერთი სცენა შილერის დრამიდამ
ა ვ ა ზ ა ვ ე ბ ი
III
მეჯლიში იტალიელებით
ოპერეტკა 1 მოქმედ., მუზ. ოფენბახისა.
ანტრაქტებში დაუკრავს მუზიკა
ბილეთების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა
ოთხ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა
თხზ. თ. აკ. წერეთლისა
ო ე ა მ ა რ ა ბ ი ე რ ი
რადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდვე ხელის-მოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს «თეატრის» რედაქციას.
ფასი ათი შაური

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 11 января. Типографія Меликова. სტამ. მელიქიშვილისა.